საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного Совета народных депутатов

№101 (6327) 23 აგვისტო 1990 წელი ხუთშაბათი ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ მუშაობა დაამთავრა

საქართველოს მომავალი უზენაესი საბჭოს შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნება 250 დეპუტატი, რომელთა არჩევნები შერეული—მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემის საფუძველზე გაიმართება. ეს ნიშნავს, რომ 125 დეპუტატს პარლამენტში აირჩევენ ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, ხოლო დანარჩენ 125 დეპუტატს—სრულიად საქართველოს პარტიული სიების მიხედვით.

ამ გადაწყვეტილებას ითვალისწინებს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონი რომელიც 18 აგვისტოს გვიან ღამით დამთავრებულმა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი ორგანოს მეთექვსმეტე სესიამ მიიღო.

მომავალ პარლამენტში დეპუტატთა კორპუსის რაოდენობა და საარჩევნო სისტემა, ისევე როგორც არჩევნებისას ხმის მიცემის პროცედურა, სესიაზე ყველაზე სადავო საკითხები გახდა იმ საარჩევნო კანონის შეთანხმებული პროექტის განხილვის დროს, რომლის მიხედვითაც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ქვეყანაშიც პირველად გაიმართება მრავალპარტიული არჩევნები. კონსენსუსამდე მივიდნენ მხოლოდ კომპრომისული გადაწყვეტილების შედეგად, რომელსაც ბოლოს და ბოლოს მიაღწიეს დეპუტატებმა მწვავე და ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ. კამათში მონაწილეობდნენ როგორც თავად დეპუტატები რ. გორდეზიანი, გ. ანდრონიკაშვილი, ა. ალექსიძე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი თ. გამყრელიძე, დეპუტატები ე. სეხნიაშვილი, ა. გურჯანაძე, ჯ. ჩარკვიანი, ასევე კანონპროექტის მოსამზადებელი საკონსულტაციო კომისიის თავმჯდომარე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლ. ალექსიძე, ამ კომისიის წევრები—საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ჯ. ხეცურიანი, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის თავმჯდომარე ი. შენგელაია, რომლებიც იძლეოდნენ ახსნა-განმარტებას მისი ცალკეული მუხლებისა და მათი ალტერნატიული ვარიანტების შესახებ.

საქმიანი, დაინტერესებული განხილვის საგანი იყო კანონპროექტის სხვა ფუძემდებელი დებულებანი, რომელთა გამო გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი თ. გამყრელიძე, დეპუტატები ბ. ციციშვილი, რ. კონცელიძე, ჯ. მარგველიძე, გ. ლორთქიფანიძე, რ. გორდეზიანი, ე. შენგელაია, პ. ჩხეიძე, გ. მაყაშვილი, ა. გურჯანაძე, და სხვები.

ღია მუხლობრივი კენჭისყრით დეპუტატებმა მიიღეს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონი.

საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხზე გამოვიდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

სესიამ მიიღო შესაბამისი კანონი.

იმასთან დაკავშირებით, რომ ადრე გადაიდო საქართველოს სსრ მეთორმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს და რესპუბლიკის ოცდამეორე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების ვადები და მიღებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების ახალი კანონი, სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის მომდევნო საკითხის განხილვას. რამდენადაც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოქალაქეთა მრავალწლოვანი საჩივრების შემსწავლელი კომისიის დასკვნა წინასწარ იყო დარიგებული, ამ კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ნ. ნათაძემ თავის გამოსვლაში ყურადღება მიაპყრო წარმოდგენილი დოკუმენტის ძირითად დებულებებს.

ამ საკითხზე გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი, დეპუტატი ვ. რაზმაძე.

სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

დეპუტატებმა დაამტკიცეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილებები.

ამით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ მუშაობა დაამთავრა.

(საქინფორმი).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

„საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ 1990 წლის 18 აგვისტოს კანონი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ მისი გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 18 აგვისტო.

ხილი არის, გეგმა საფრთხეშია

(ჩვენი მიმოხილვა)

წელს ხილის კარგი მოსავალია ლეჩხუმში როგორც კურკოვანის, ისე თესლოვანის. მთავარია დროულად და უდანაკარგოდ დავკრიფოთ, გულთან მივიტანოთ მიმდინარე წლის გეგმების შესრულების აუცილებლობა.

კურკოვანი ხილი რაიონში 3130 ტონა უნდა დამზადდეს. საგანგაშოა, რომ როცა უკვე ტყემლის მოსავლის რეზერვები ამოიწურა, 20 აგვისტოს მდგომარეობით დამზადებულია მხოლოდ 822,1 ტონა.

ჩამორჩენა განაპირობა იმან, რომ ხილის დამზადების საქმე თვითნებაზე მიუშვეს ადგილობრივი საბჭოებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა, უბენზინობას, ხილის დამზადების კონვეიერის გაუმართაობას უპასუხისმგებლობა დაურთეს, არ იზრუნეს მოსახლეობისათვის, რომელსაც ტონობით ხილი დაულპა.

საინტერესოა, რით იმართლებენ თავს ალპანის რეგიონის ხელმძღვანელები, სადაც 128 ტონიდან კილოგრამი ხილიც არ დაუმზადებიათ? ტვიშის ზონაში 206 ტონიდან დამზადებულია 8 ტონა ხილი, ჩხუტელში 160 ტონიდან—30, მაშინ, როცა კი მართალია, საერთო მდგომარეობა ძალზე ცუდია, მაგრამ გარკვეულად მაინც უმუშავნიათ ლასურიამის, ლაჯანის, წიფერჩის რეგიონებს, სადაც შესაბამისად 131—130—109 ტონა ხილი აქვთ დამზადებული.

საზოგადოებრივ სექტორში 130 ტონიდან 6,1 ტონა ხილია დამზადებული. ცაგერისა და ორბელის გარდა ხილის დამზადება არც მოგონებიათ სხვა მეურნეობებში. კოლმეურნეობების დაშლა-არდაშლის ლოდინით ახსნიან ალბათ ამ ჩამორჩენას ხელმძღვანელები, რაც სავსებით მიუღებელია.

კურკოვანი ხილის რეზერვები ჯერაც არის. ნუ დავკარგავთ მოსავალს, ნუ დავაზარალებთ ადამიანებს. თუ მოვინდომებთ, თითოეულ კილოგრამ ხილს კონტროლზე ავიყვანთ, პრინციპულობას გამოვიჩენთ, შეიძლება გარღვევა მინიმუმამდე შევამციროთ.

ათეული წელია საგზაო სამმართველოს გოლიათი „სკრეპერის“ საჭეს უზის.

საკუთარი ოჯახივით შეეგუა №23 საგზაო სამმართველოს შრომით კოლექტივს. სიმძიმის ამტანი, საქმეში გამტანი, მოყვასისადმი ერთგული—ასე იცნობენ მას.

ბევრჯერ თქმულა დესნა სილაგაძის კაიკაცობა. დღესაც ცაგერიდან წყალტუბომდე ბევრი ცნობისმოყვარე მზერა მიჰყვება ამ მძლავრ ტექნიკას, მონოტონურად რომ ხმაურობს.

პაპიდან მოკიდებული პატიოსანი მშრომელი იყო მისი ჯიში და ჯილაგი. ეტყობა გენეტიკურად მოდგამს საქმის სიყვარული და სიძნელეებთან ჭიდილი.

მშობელი მიწისა და ადგილის დედის სიყვარულშიც ვერავინ გაეჯიბრება.

თავად თუ არ გინახავთ ქვედა ცაგერში, „ეწერის“ ფერდობზე

რწმენა ხვალისა

გაშლილი 1500 კვადრატული მეტრი მავთულბადით შემოფარგლული ვენახი, არ დამტკბარხართ ჩაუღვაშებული, მოშრიალე სიმინდის ყანით, ძნელია დაიჯეროთ, რომ ეს ახალგაზრდა კაცი ბევრ სახელოვან მევენახეს და მესიმინდეს უსწორებს მხარს სოფელში. კოლმეურნე იყო და მიწას პატრონობდა, იჯარით იშრომა და გაეზარდა მიწისადმი გულშემატკივრობა. ახლა გლეხურ მეურნეობაზე გადავა და უფრო უერთგულებს. დამოუკიდებლობის გზაზე მიმავალ საქართველოს ახლა სჭირდება გამრჯე მარჯვენაც და მიწის ბარაქაც.

დღეს ოჯახის სიძლიერე ქვეყნისა და ერის სიმაგრის საფუძველია. დესნას ოჯახში ოფლნადენი შრომით მონაგარი დოვლათის მადლი ტრიალებს. გამრჯე კაცის ხელი მის კარმიდამოს ყოველ ნაბიჯზე ატყვია. ამაში მეუღლის—მანანას დამსახურებაც არის. ივი ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელია, ისინათლებს თუ არა, ბოსტანშია ჩამდგარი. უხვად აქვთ პროდუქტები, ჰყავთ პირუტყვი და ფრინველი.

სილაგაძეების ოჯახის დიდი სიმდიდრე ის ოთხი შვილია, სამი ვაჟი და ერთი ქალი, რომლებიც ქართველი ერის საამედოდ იზრდებიან, დედ-მამა უღვიძებთ მათ ადგილის დედის, მიწის, ვაზის სიყვარულსა და შენების სურვილს. უფროსი ვაჟი ლაშა 12 წლისაა და დედ-მამას უკვე გვერდით ამოუდგა.

დესნა სილაგაძე ხვალინდელი დღის რწმენით, ახალგაზრდული სიმტკიცით, ბარაქითა და დოვლათით უახლოვდება წლის ფინიშს.

გ. კაჭკაჭაშვილი.

მკითხველს ვთავაზობთ:

* მიზეზ-მიზეზ...
* დრო მივხედოთ (II გვ.)
* მოდის ახალი სასწავლო წელი.
* უმიზნოდ ნუ დავხარჯავთ
* წინაპართა ფუძის ერთგული (III გვ.)

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის საპროტესტო განცხადება

1990 წლის 3 ივლისს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა ვლადიმერ ილიას ძე კობახიძემ გამოსცა ბრძანება (№01.122), რომელიც ეფუძნება სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს 1990 წლის 29 ივნისის №3219 მითითებას (დიახ, მითითებას და არა ბრძანებას!).

ამ ბრძანების თანახმად, ჟურნალ-გაზეთების გავრცელების ექსპედირების, გადაზიდვისა და მიტანისათვის გადასახდელმა თანხამ გამოცემათა ღირებულების 50,6 პროცენტი უნდა შეადგინოს.

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობას მიაჩნია, რომ ეს არის ანტიდემოკრატიული და ანტიეროვნული გადაწყვეტილება, რადგან იგი ხელს უშლის, უწინარეს ყოვლისა, თავისუფალი პრესის არსებობას, ამასთანავე კიდევ უფრო გაუარესებს პრესის მუშაკთა ისედაც სავალალო მატერიალურ მდგომარეობას, მძიმე ტვირთად დააწვება ჟურნალ-გაზეთების მკითხველებსაც.

აქედან გამომდინარე, მოვითხოვთ:

1. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა გააუქმოს თავისი ზემოხსენებული ბრძანება, რადგან ჩვენი აზრით, საკავშირო კავშირგაბმულობის სამინისტროს მითითება, რომელსაც ეს ბრძანება ეფუძნება, განზრახ არის მიმართული თავისუფალი პრესის და აქედან გამომდინარე, დემოკრატიის წინააღმდეგ.

2. თუ ამ საკითხის გადაწყვეტა სცილდება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის უფლებამოსილებას, მაშინ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, უკიდურეს შემთხვევაში საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ, შეაჩეროს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს აღნიშნული გადაწყვეტილების მოქმედება საქართველოში.

3. დაისვას საკითხი უზენაესი საბჭოს წინაშე, საქართველოში პრესის გავრცელების დამოუკიდებელი ერთიანი სამსახურის შექმნის შესახებ.

თუ ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, იძულებული გავხდებით, მივმართოთ პროტესტის სხვა უფრო მძაფრ ფორმებს.

მიღებულია საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის პლენუმზე, 1990 წლის 16 აგვისტოს.

დრო მივხედოთ

დღეს ბევრი ლაპარაკია ეკოლოგიაზე. ვიცით თუ რა სავალალო შედეგები ოგვიტანა და მოაქვს ბუნებისადმი ულმობელ დამოკიდებულებას. გახშირებული მეწყერიანობა, წყალდიდობა, თუ სტიქიის სხვა მოვლენები გარკვეულწილად სწორედ ადამიანის მიერ ბუნების არაგონივრულმა გამოყენებამ გამოიწვია. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები დღესაც გვხვდება.

ამ რამდენიმე წლის უკან, ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ბარდნალიდან ლარჩვალამდე, წარმოადგენდა მშვენიერ ხეობას, ხშირი ტყითა და მინდვრებით, რომელიც საძოვრადაც გამოიყენებოდა. შემდეგ ამ ტერიტორიაზე სხვადასხვა საწარმოების მშენებლობის დროს [illegible] ნაგავსაყრელი, წყალდიდობის შედეგად [illegible] მდინარემ კალაპოტი ეიცვალა, ქვიშითა და ლიოლით აავსო ადრე მწვანედ მობიბინე მდელოები, განადგურდა ტყის დიდი საწილიც. მდინარე ცენტრალურ გზასთან სულ ახლოს მოვიდა, როცა ადრე რამდენიმე ასეული მეტრით იყო დაშორებული.

აღნიშნულ ტერიტორიაზე დაშვებული იქნა სანიტარული ჭრები, მაგრამ მოსახლეობის მიერ იჭრება როგორც ხმელი, დაავადებული, წაქცეული, ასევე სრულიად საღი ხეებიც, განმკითხავი კი არავინაა, თუ ასე გაგრძელდა, სულ მალე ლამაზი ხეივნის ნაცვლად ხრიოკი ადგილები დაგვრჩება.

ახლა ცაგერიდან სარეწკელამდე მდინარე ცხენისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობს, რამდენიმე წელიწადში მდინარე კალაპოტში მოექცევა და შეიქმნება ტყის აღორძინების შესაძლებლობა. ამიტომ აუცილებელია შეწყდეს აღნიშნულ ტერიტორიაზე ხეების ჭრა ან დაექვემდებაროს მკაცრ კონტროლს სატყეო მეურნეობის მიერ, რომ მცენარეებმა ბუნებრივად თვითაღდგენის (განახლების) უნარი შეინარჩუნონ.

ბ. ჩარკვიანი.

გვჭირდება თუ არა საჰაერო ტრანსპორტი?

ცაგერის რაიონი ერთ-ერთი პირველი იყო საქართველოში, სადაც აეროპორტი ფუნქციონირებდა. მერე მიზეზთა მრავალთა და მრავალთა გამო დაგვრჩა იგი უმოქმედოდ, თვითმფრინავის გარეშე.

რამდენიმე წელია ხალხი ითხოვს საჰაერო მარშრუტის აღდგენას, მაგრამ?... საქმეს არაფერი ეშველება, სანამ ჩვენს საზოგადოებაში უპასუხისმგებლობა—„ჭირთა უქირესი" სენია გამეფებული, სანამ ყველაფერს ისევ ძველი არშინით ზომავენ...

ხშირად მიფიქრია, რატომ გაჩნდა საზოგადოებაში სიმარტოლისა და ნდობის ასეთი დეფიციტი? რატომ აღარ გვჯერა ხელმძღვანელთა დაპირებების? დასკვნა ერთი მაქვს—მოგვეპეზრდა, დიახ მოგვბეზრდა ამდენი ტაშისკვრა და თავის ქნევა ყველა დამისახელეს—მგზავრები არ გვყოფნის და თვითმფრინავი არ ივსებაო. მერე ჩვენს კლიმატსაც ბევრი რამ დააბრალეს. საქმე იქით დამთავრდა, რომ ადგილზე ჩამოვიდნენ, შტატები შეამცირეს, რადიოპარატურა მოხსნეს და დაგვრჩა აეროპორტი ლაფერზე. მოგვწონს თუ არ მოგვწონს. აგვავსო ამტენმა სიცრუემ. ბოლოსდაბოლოს სახამ უნდა ჩავიგუბოთ პირში წყალი და ბრმად მიეყვეთ დროის დინებას?

ყველამ ვიცით, რომ ჩვენს რაიონში მოქმედებდა აეროპორტი, რომელიც 30-იან წლებში გაიხსნა. ომიანობის დროს შეწყვიტეს ფრენა და მთელი ტერიტორია მორგით დაფარეს. 1952 წლიდან კი კვლავ გააგრძელა აეროპორტმა ფუნქციონირება. თვითმფრინავი „ცაგერი—ქუთაისის" მიმართულებით დღეში 4 ან 5 რეისს აკეთებდა. 1986 წლიდან ისევ შეწყდა ფრენა და დაგვრჩა აეროპორტი უმოქმედოდ.

მიზეზი? მიზეზი იცოცხლეთ ბევრი დაგვისახელესო.—გვითხრა რედაქციაში სტუმრობისას აეროპორტის უფროსმა ნიკოლოზ სვადაგიანმა. პირველ რიგში, ფრენის შეწყვეტის უმთავრეს მიზეზად ქუთაისის გაერთიანებამ ის დაგვისახელა, რომ მანძილი აფრენის წერტილიდან დაფრენის წერტილამდე 50 კილომეტრი უნდა იყოს, ჩვენთან კი იგი 45 კილომეტრია. ამის შესახებ დადგენილებაც მიუღიათ თურმე. მაგრამ ეს დადგენილება ჩვენი აეროპორტის უფროსისათვის თვალით არავის უნახავია (?!) უბრალოდ, ამტკიცებენ, რომ არსებობს!.

შევედავე, თორემ რა გამოვიდა—გვითხრა ბატონმა ნიკოლოზმა. ახლა ახალი მიზეზი �r: ბოლოსდაბოლოს სახამ უნდა ჩავიგუბოთ პირში წყალი და ბრმად მიეყვეთ დროის დინებას?

ყველამ ვიცით, რომ ჩვენს რაიონში მოქმედებდა აეროპორტი, რომელიც 30-იან წლებში გაიხსნა. ომიანობის დროს შეწყვიტეს ფრენა და მთელი ტერიტორია მორგით დაფარეს. 1952 წლიდან კი კვლავ გააგრძელა აეროპორტმა ფუნქციონირება. თვითმფრინავი „ცაგერი—ქუთაისის" მიმართულებით დღეში 4 ან 5 რეისს აკეთებდა. 1986 წლიდან ისევ შეწყდა ფრენა და დაგვრჩა აეროპორტი უმოქმედოდ.

მიზეზი? მიზეზი იცოცხლეთ ბევრი დაგვისახელესო.—გვითხრა რედაქციაში სტუმრობისას აეროპორტის უფროსმა ნიკოლოზ სვადაგიანმა. პირველ რიგში, ფრენის შეწყვეტის უმთავრეს მიზეზად ქუთაისის გაერთიანებამ ის დაგვისახელა, რომ მანძილი აფრენის წერტილიდან დაფრენის წერტილამდე 50 კილომეტრი უნდა იყოს, ჩვენთან კი იგი 45 კილომეტრია. ამის შესახებ დადგენილებაც მიუღიათ თურმე. მაგრამ ეს დადგენილება ჩვენი აეროპორტის უფროსისათვის თვალით არავის უნახავია (?!) უბრალოდ, ამტკიცებენ, რომ არსებობს!.

შევედავე, თორემ რა გამოვიდა—გვითხრა ბატონმა ნიკოლოზმა. ახლა ახალი მიზეზი

მიზეზ - მიზეზ...

თვითმფრინავის გარეშე (?!)

აეროპორტს 18 ჰექტარი ფართობი უჭირავს. მიწის რენტას ქუთაისის გაერთიანება იხდის, მაგრამ გაითვალისწინეს ის, რომ ცაგერი მცირემიწიანი რაიონია და მიწა ცაგერის კოლმეურნეობას დაუტოვეს. ახლა კი ზოგიერთი პიროვნების თავგასულობამ იქამდეც მიაღწია, რომ ამ მიწის იჯარით „მისაკუთრებას" აპირებენ. დიახ მისაკუთრებას, რადგან თავიანთი მიზნებისათვის სურთ გამოიყენონ.

აეროპორტის უფროსმა ისიც შემოგვჩივლა, რომ შენობას 1976 წლიდან რემონტი არ ჩატარებია. აივანზე წვიმა ჩამოდის და ალპობს ყველაფერს. მოდი და გაგიკვირდეს, როცა ყურად არავინ იღო ის ამბავი, რომ აეროპორტი თვითმფრინავის გარეშე დარჩა, შენობის რომონტსა და კეთილმოწყობაზე ვინღა შეიწუხებდა თავს?

სხვათაშორის, ბატონმა ნიკოლოზმა ისიც გვითხრა, რომ რაიონის ხელმძღვანელების წინაშე არაერთგზის დადგა ეს საკითხი, თვითონაც პირადად რამდენჯერმე მოითხოვა, მოითხოვდა ხალხიც, მაგრამ... „სხვისი ჭირი ლობეს ჩხირია"—ასე გამოვიდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მასალებს რომ ვეცნობოდი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან საუბარში დავრწმუნდით, რომ ბოლოსდაბოლოს გალღვა ყინული, რაიონის ახლანდელი ხელმძღვანელობა დაფიქრებულა ამ საკითხზე და არაერთხელ, რამდენიმე მოთხოვნა და წერილი გაუგზავნია მინისტრთა საბჭოს სახელზე. მაგრამ შედეგი? საქმეს არ იქნა და არაფერი ეშველა.

მე მხოლოდ 2 წერილს გავეცანი, რომელიც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან გაიგზავნა.

პირველი დათარიღებულია 1990 წლის 10 აპრილით. ესაა რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ერთობლივი წერილი. მასში ნათქვამია: „რესპუბლიკაში სარეგიონთაშორისო საჰაერო მიმოსვლის დაწესების დროიდან რაიონში ფუნქციონირებდა აეროდრომი. 1986 წლიდან

ბატონო პალატი! თქვენს სამმართველოს დახმარება სთხოვეს, თორემ ჭკუის სწავლებისა და დარიგებისათვის არავის შეუწუხებიხართ. ამისათვის ნუ გაირჯებით! ქუთაისისაკენ ან თბილისისაკენ მიმავალი ლეჩხუმელი კაცი სხვის დაუხმარებლად, თვითონვე გადაწყვეტს ლენტეხში ავიდეს თუ არა იმის იმედით, რომ იქიდან თვითმფრინავით გაემგზავრება.

ყოველივე მოსალოდნელს გადააჭარბა ამ პასუხმა.—ახლა მაინც ხომ დაწყნარდებით, გამოსავალი გაპოვნინეთო—ალბათ ამის თქმა სურს საქართველოს ავიაციის სამმართველოს პირველ მოადგილეს. პასუხი მოგვცა და თავიდან მოგვიშორა. ეს სხვა არაფერია, თუ არა ჩვენთვის ცნობილი, ისევ და ისევ მოძველებული სტილი ხელმძღვანელთა მოქმედებისა. საკითხავია რა ვქნათ, ვისთან ვეძებოთ გამოსავალი?

რაიონული საბჭოს აღმასკომში დამაიმედეს—საკითხს ხელახლა ღავაყენებთო, კი მაგრამ ერთი რამ მაფიქრებს, შეიცვლება არსებული? რაღა თქმა უნდა, არაფერი არ შეიცვლება მანამ სანამ ავიაციის სამმართველოში ყველაფერს ისევ ძველი არშინით გაზომავენ.

არადა, გვჭირდება თვითმფრინავი, აუცილებლად გვჭირდება! ქვემო ქართლში ჩასახლებულ ლეჩხუმელთა რიცხვი სულ უფრო მატულობს, ამასთან ჩვენი რაიონის მკვიდრი 400-მდე ახალგაზრდა სწავლობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მერე კიდევ, ხშირად ორი კერა ისე გავა, რომ რაიონში არც ერთი ლიტრი ბენზინი არ შემოვა. რას ვერჩით ხალხს, რა ქნან, როგორ იმგზავრონ? ბევრ რამეში ხომ შეგვეშველებოდა თვითმფრინავი, კვირაში თუნდაც ორ რეისს რომ აკეთებდეს „ცაგერი—თბილისის" მიმართულებით"?

კითხვა უამრავია, მაგრამ საქმე? დიდი ილია ამბობდა: ამაებს სულ სიტყვაზე ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშიაო... მერედა ვინ უნდა გააკეთოს ეს საქმე?

ბელა საღინაძე.

რედაქციისაგან: ჩვენ წერილის დასაწყისშივე დავსვით კითხვა. რედაქციას თავისი პოზიცია გააჩნია ამ საკითხის ირგვლივ, მკითხველს კი, რა თქმა უნდა, თავისი. ველით თქვენს მოსაზრებებს. მართლაც, გვჭირდება თუ არა საჰაერო ტრანსპორტი?

სიტყვა — საქმიანი

ადრე, 20 წლის წინ სოფელ ლაჯანის ცენტრი ლამაზად გამორეურურებოდა, სტუმარსაც და მასპინძელსაც სიამოვნებდა იქ გავლა. ცენტრში იყო უყავილწარი, წყლის ავზი, ერთი სიტყვით, იგრძნობოდა სოფლისადმი სიყვარული, პატივისცემა და ადამიანთა შინაგანი კულტურა.

დღეს აქაურობა ძალზე უბადრუკად, უპატრონოდ გამოიყურება. მთელი დღე ცენტრში უსაქმოდ ათობით ადამიანი დგას. მაგრამ არავის მოსდის აზრად დაგვაონ მაინც ეს ტერიტორია, გაწმინდონ ზედმეტი სამშენებლო მასალებისაგან, ტალახისაგან, რომელსაც ჩამომდინარე ღელის წყალი ტოვებს. კულტურის სახლის ეზოში ტექნიკის ნაწილები და რა არ ყრია.

ახლა სოფელს ბევრი სტუმარი ჰყავს. შინაარსიანი დასვენების ერთ-ერთი კერა კინოა, მაგრამ მოაქვთ ძალზე ძველი ფილმები, უხდებათ გაწყვეტილი ფილმების რამდენჯერმე გადაბმა.

* * *

ჩვენი ქალაქის ბაზარსა და მის პრობლემებზე ამას წინათ გვქონდა საუბარი გაზეთში. ითქვა, რომ ფრინველისა და ცხოველებისათვის ცალკე გამოყოფილი ადგილი კეთილმოწყობელია. გვესმის, მაგრამ ყოველად დაუშვებელია ბაზრის წინა მოედანზე, ცენტრში იყიდებოდეს ფრინველ-ცხოველი, რომელიც აბინძურებს იქაურობას და ეპიდემიის გაჩენის საშიშროებასაც გვიქადის.

ახლა ზაფხულია და ცენტრის მიღმაც შეიძლება ფრინველით ვაჭრობა.

ᲬᲝᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲔᲚᲘ

რთული ვითარებაა ჩვენს რესპუბლიკაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის არცერთი სფერო. სინათლე და გარკვეულობა რომ სუფევდეს. პოლიტიკურმა ორომტრიალმა, ეკონომიკურმა სიღუხჭირემ და შემზარავი ტემპით გაზრდილმა დანაშაულობებმა ერთგვარად შეანელეს სხვა ყოფითი მოვლენებისადმი ყურადღება. ეს სახალხო განათლების მიმართაც იგრძნობა. სხვა მრავალ ფაქტებთან და მოვლენასთან ერთად ამის დადასტურებაა ის, რომ ახალ სასწავლო წელს ტრადიციულ და ყოველმხრივ გამართლებულ პირველ სექტემბერს კი არ იწყება სწავლა, არამედ საქართველოს სხვადასხვა რაიონის სკოლებისათვის სექტემბრის სხვადასხვა რიცხვში. ზემოთ აღნიშნული ახალი სასწავლო წლისათვის სიახლეა, მაგრამ არასასურველი, ეს სხვა დროს არ უნდა მოხდეს, ყველგან სასწავლო წელი ტრადიციულად პირველ სექტემბერს უნდა დაიწყოს.

ჩვენ წელს გვაქვს სხვა მრავალი სიახლე, მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში სპეციალისტებმა იმუშავეს და თანამედროვე მოთხოვნის შესატყვისად ცვლილებები შეიტანეს 21 სასწავლო საგნის პროგრამაში. შემუშავებულია ახალი რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები, რომლებსაც განვიხილავთ მასწავლებელთა სექციურ სხდომებზე, სადაც უნდა გაიმართოს პრინციპული პროფესიული სჯა-ბაასი.

შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად შეიცვალა სასწავლო გეგმა, დროებით, ახალი პროგრამების შემუშავებამდე და სახელმძღვანელოების შედგენამდე გეგმიდან ამოღებულია საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები (მე-9 კლასი) და საზოგადოებათმცოდნეობა (მე-11 კლასი).

ფაკულტატური მეცადინეობისათვის გამოყოფილი საათების ხარჯზე მე-10 კლასებში კვირაში ერთი საათი დაეთმობა რელიგიის ისტორიის სწავლებას. აშისათვის გვესაჭიროება სათანადოდ მომზადებული მასწავლებლები და პიროვნებები, რომელთაც მორალური უფლება ექნებათ ბავშვებს ელაპარაკონ ზნეობრივ ღირებულებებზე. განათლების განყოფილება და სკოლების ხელმძღვანელობა შეუდგა სათანადო კადრების შერჩევისათვის ზრუნვას.

წელს პირველი კლასები იმუშავებენ პერსპექტიული გარდამავალი სასწავლო გეგმით. გეგმაში შეტანილია ახალი საგნები. რიგი საგნები ინტეგრირებულად არის წარმოდგენილი. ბუნებათმცოდნეობის და საზოგადოებათმცოდნეობის მაგივრად იქნება ბუნების კარი, სახვითი ხელოვნება და შრომითი სწავლება გაერთიანებულია მხატვრულ შრომაში. მუსიკა და რიტმიკა აერთიანებს მუსიკას და ფიზკულტურას.

უკვე ხელთ გვაქვს ჰუმანიტარული, ფიზიკა-მათემატიკური, ქიმია-ბიოლოგიური და შრომითი პროფილების ახალი სასწავლო გეგმები დიფერენცირებული სწავლებისათვის. ფიზიკა-მათემატიკური პროფილებით დიფერენცირებული სწავლება რამდენიმე წელია შემოღებული გვაქვს ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატში მიზნად გვაქვს, ახალი სასწავლო წლიდან შესაძლებლობის და მოსწავლეთა და მშობელთა სურვილით არჩეული პროფილით დიფერენცირებული სწავლება შემოვიღოთ ცაგერის საშუალო სკოლაში.

მიღებულია გადაწყვეტილება, რათა შეიცვალოს მოსწავლეთა კვირეული დატვირთვა 1-4 კლასებში 20-25 საათამდე, უფროს კლასებში 30-31 საათამდე. შესაბამისად იცვლება პედაგოგთა განაკვეთებიც—20 საათიდან 17 საათამდე და 18 საათიდან 15 საათამდე. საათების ამ განსხვავებას პედაგოგებს აუნაზღაურებენ ხელფასის დანამატის სახით.

რაიონის განათლების განყოფილება, სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებები აღნიშნული და სხვა სიახლეების გათვალისწინებით ვემზადებით ახალი სასწავლო წლისათვის. ახლა თითოეული პედაგოგის ვალია, როგორც არასდროს, გულმოდგინედ ჩაუჯდეს სასწავლო გეგმის, პროგრამების, რეკომენდაციების, მეთოდური წერილების, სახელმძღვანელოების გაცნობადამუშავებას, მოამზადოს სამუშაო გეგმები, საკლასო ოთახი და სასწავლო კაბინეტი, ნახმარი სახელმძღვანელოები (ობიექტური მიზეზების გამო მთელ რიგ საგნებში ახალი სახელმძღვანელოები არ გვექნება), ასე წარვდგეთ მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციაზე, რომელიც შედგება 1990 წლის 29 აგვისტოს ოთხშაბათს 12 საათზე დღის წესრიგით:

გასული 1989-90 სასწავლო წლის შედეგები და თანამედროვე მოთხოვნიდან გამომდინარე სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის სრულყოფის ამოცანები.

მეორე დღეს გაიმართება სექციის სხდომები. კონფერენციაზე და სექციის სხდომებზე უფრო ვრცლად ითქმება, თუ რა და როგორ ვაკეთოთ ახალ სასწავლო წელს.

დ. კოპალიანი.

ცაგერის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

ᲬᲧᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ

ცაგერის მრავალდარგოვანი საბინაო კომუნალური მეურნეობის გაერთიანებამ უკანასკნელ პერიოდში ქალაქის წყალმომარაგების უწრუნველყოფისათვის საკმაო ღონისძიებანი განახორციელა. გარკვეული მუშაობა წარმოებს წყლის რაციონალურად გამოყენებისა და ეკონომიურად ხარჯვისათვის.

ქალაქ ცაგერის წარმოება-დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და მოსახლეობას სასმელი წყლით ამარაგებს „ცივწყაროზე" მდებარე სატუმბო სადგური, სადაც დადგმულია 2 მძლავრი ტუმბო, რითაც 1 საათის განმავლობაში იტუმბება 150 ტონა სასმელი წყალი. ტუმბოები მუშაობენ 20 საათის განმავლობაში. წყალი თავს იყრის დიდ ავზებში, საიდანაც ნაწილდება ქსელში.

დროულად ვაწყობთ წყლის დაქლორვას. წყლის შემადგენლობას კონტროლს უწევს ლაბორატორია. მინიმუმამდეა დაყვანილი წყალგაყვანილობის დაზიანებისაგან გამოწვეული დანაკარგები.

დღე-ღამეში ქალაქს მიეწოდება 3,0 ათასი ტონა სასმელი წყალი. ერთ სულ მოსახლეზე იხარჯება 900 ლიტრი, რაც ნორმაზე გაცილებით მეტია. ახლა ქალაქს წყლის ისეთი მარაგი აქვს, რომ იგი კრიზისულ სიტუაციებს გამორიცხავს თუ ეკონომიურად იქნება მოხმარება. მაგრამ ქალაქის გარკვეულ უბნებში, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში არის სასმელი წყლის ნაკლებობა. ამის გამომწვევი ძირითადი მიზეზი ის გახლავთ, რომ საწარმოო-დაწესებულებების ხელმძღვანელთა ნაწილი, მოსახლეობის უმრავლესობა ჯერ კიდევ დაუდევრობას იჩენს სასმელი წყლის მიზნობრივად და ეკონომიურად ხარჯვის საქმეში. ბევრგან უმიზნოდ და განუკითხავად იხარჯება წყალი, დაწესებულებათა ეზოებში ხშირად შევხვდებით შემთხვევებს, თუ როგორ იღვრება წყალი მოშლილი ონკანებიდან, ან კიდევ ონკანები

სად გსურთ ისწავლოთ?

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ქუთაისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი დაინტერესებულ აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1990-1991 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

საშუალო განათლების ბაზაზე

1. სამრეწველო მოწყობილობების მონტაჟი — დღის და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე. 2. საწარმოთა და სამოქალაქო ნაგებობათა ელექტრომოწყობილობების მონტაჟი და ექსპლოატაცია—დღის და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე. 3. ხე-ტყის დამზადება და მერქნის ტრანსპორტირება—დღის სწავლების განყოფილებაზე.

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება თანდართული ნიმუშით, 2. საბუთები დასრულებული საშუალო და საშუალო განათლების შესახებ (დედანი) 3. სამედიცინო ცნობა ფორმა№86 (უ), 4. ამონაწერი რომის წიგნაკიდან ან კოლმეურნეობის წიგნაკიდან დამოწმებული ადმინისტრაციის მიერ (წარმოადგენენ ის პირნი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, აგრეთვე საღამოს და დაუსწრებელ სწავლებაზე შემსვლელნი), 5.6 ფოტოსურათი ზომით 3X4 სმ. გადაღებული უქუდოდ. 6. პასპორტი. (დაბადების მოწმობა, საბუთები სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ), პირადად წარედგინება მიმღებ კომისიას.

ტექნიკუმში შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. მათემატიკაში (ზეპირი).

შემსვლელებს დაწვრილებითი ცნობების მიღება შეუძლიათ ტექნიკუმში

მისამართი — ჯავახიშვილის ქ. №5. ტელეფონები: 6-19-17, 6-19-61, 6-17-76

სასწავლებლის დირექცია.

რაიონის კოოპერატორთა საყურადღებოდ!

24 აგვისტოს, 12 საათზე ქ. ცაგერში გაიმართება რაიონის კოოპერატორთა თათბირი კოოპერაციულ სექტორში შექმნილი მდგომარეობისა და ზოგიერთ წამოჭრილ პრობლემათა გადაწყვეტის გზების შესახებ.

ვთხოვთ ყველა კოოპერატივის თავმჯდომარეს მონაწილეობა მიიღოს თათბირის მუშაობაში კოოპერატორთა ერთობლივი პოზიციის გამომუშავების მიზნით, რომელიც კანონიდან გამომდინარეობს.

წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოპერატორთა რაიონული გაერთიანების გამგეობა.

გუდო სამსონის ასულ ხეცურიანს
მურმან ვანოს ძე ჭიჭინაძეს

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ სიხარულს, აკვანთა სიმრავლეს. სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

ციცო, ნატო, ამირან, ტარიელ ჭიჭინაძეები, ციცო, ავთო ტყეშელაშვილები.

თემურ იუზას ძე ჯიაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. გაზრდილიყო სასახელო ვაჟკაცი. იხარე, იმრავლე, იბედნიერე!

ელზა, ეკა გოლეთიანები, ნინო, ნესტან, ნათია ჯიაძეები, კახა კუხალაშვილი.

მათხოვარი

ეკლესიის ეზოში უამრავი ხალხი იდგა. ყველა თავისი საქმით იყო გართული. იქვე, ეზოში ლოდზე საცოდავად მობუზულიყო ცალხელა, სახენაირევი მოხუცი. იჯდა ტანთ მთლიან დაფლეთილი, ჭუჭყისგან ფერდაკარგული ჯუბა ეცვა. ძველი შარვალი და ლანჩამძვრალი ფეხსაცმელები უფრო ასაცოდავებდა მის შესახედაობას. იქვე, ლოდის გვერდით დაგლეჯილი სვანური ქუდი იდო ხურდით. მოხუცი გაძვალტყავებული და აკანკალებული ხელით პირჯვარს იწერდა და გაურკვევლად ბუტბუტებდა. გამვლელ-გამომვლელს თვალს არიდებდა, თითქოს ვერც კი ამჩნევდა, თითქოს მხოლოდ ის და წინ აღმართული ტაძარი შემორჩა ამ სამყაროს, სხვა ყველაფერი სადღაც უსასრულობაში ჩაიკარგა. გამვლელთაგან ბევრი ვერც კი ამჩნევდა მოხუც მათხოვარს, ხოლო ვინც ამჩნევდა, თვალს განგებ არიდებდა ან ჯიბიდან ძალისძალად ამოღებულ შავ ხურდას დამადლებით უყრიდა დაგლეჯილ ქუდში.

უცებ მათხოვარს ქალის გამქილავი ხმა ჩაესმა:

—ჩვენ ოფლს ვღვრით, ეს კი ჩამომჯდარა აქ და ჩვენს ნაშრომ-ნაწვალებს აგროვებს!

მათხოვარი შეკრთა, ბუტბუტი შეწყვიტა და ქალს ახედა. ქალი კუშტად დაჰყურებდა. მოხუცის თვალში ცრემლი ბრწყინავდა.

ქალი უცებ შეტრიალდა და სწრაფად გაშორდა იქაურობას. ძლივ-ძლივ, ბორძიკით წამოდგა მათხოვარი, აკანკალებული ხელით ცრემლი მოიწმინდა, სამადლოდ დაყრილი გროშები აკრიფა და ეზოდან გამოვიდა. თავდახრილი მიდიოდა. უცებ შედგა, მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეზე ბავშვ-ქალ-ბებერ-ყმაწვილ-ყმაწვილ, ძუძუშვილიანი ჩვილ-ბავშვებზე დაეცა და — ამამწყალოდ გაწვდილი ხელით დახმარებას სთხოვდა გამვლელ-გამომვლელს.

—მთელი დღის მშიერი ვარ, ღმერთი შეგეწევათ, მოწყალება გაიღეთ.

ბოშა ქალმა თვალი შეასწრო მის წინ ატუზულ მათხოვარს. ქალის თვალებში საოცარი ტკივილი ჩანდა, მათხოვარმა ვეღარ გაუძლო და პირი იბრუნა.

...ბოშა ქალი ისევ იმ ადგილზე იყო, მუჭში რამდენიმე შავი ფული ედო. იგი უკვე აღარაფერს თხოულობდა. თავი დაეხარა და მტირალ ბავშვს უაზროდ დაჰყურებდა. მათხოვარმა შეგროვილი გროშებით თავისთვის ნაყიდი პური ქალს კალთაში ჩაუდო და სწრაფად გაშორდა იქაურობას.

მადონა მახაროგლიძე.

„ვოლგარი“ სოფლელებისათვის

კუიბიშევის ავტოსარემონტო ქარხანაში გაზ-53-ის ბაზაზე გამოუშვეს სოფლად პოპულარული ავტომობილის „ვოლგარის“ (სურათზე) ახალი მოდელი. ამ სიახლემ მიიღო რიგითი ნომერი 3966-1 და გათვალისწინებულია ოცი მგზავრის გადასაყვანად. „ვოლგარის“ საბითუმო ფასი— 4750 მანეთია.

ახალი ავტომობილი გაიგზავნება შორეულ აღმოსავლეთში, ბალტიისპირეთსა და კავკასიაში.

ნ. ნიკიტინის ფოტო.

საკდესის ფოტოქრონიკა.

დედა ნინა, მამა რუბენი, სიძე იური გუგავა, დისშვილები ჟანა, მინდია გუგავები, ბიძა გივი, დეიდა ჟენიკო, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბორის რუბენის ძე ყურაშვილი.

დაკრძალვა 28 აგვისტოს, სამშაბათს, სოფ. უსახელოში.

მეუღლე გუჯა, შვილები ეთერი, ლეილა, და ციცო, ძმა ჟორა, რძალი აზა, სიძეები გრიშა, გივი, თამაზ ჩიხლაძე, აკაკი ღლონტი, თენგო ფხაკაძე, შვილიშვილები ნათია, თეონა ჩიხლაძეები, ლაშა, მალხაზ ღლონტები, მული დოდო, ძმისშვილები დისშვილები, მულისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათელა ვლადიმერის ასული თვარაძე-ბენიძე.

გამოსვენება 25 აგვისტოს შაბათს, 3-სთზე სოფ. ზუბიდან. დაკრძალვა ქ. წყალტუბოში.

№1 ორმოცბინიანი სახლის მცხოვრებლები თანაუგრძნობენ ზაირა, რეზო სივსივებს ბიძის

თომა გვიშიანის

გარდაცვალების გამო.

ლეო, ავთო ახვლედიანები, ზაურ ბენდელიანი, იროდი ბუიძე, მეჩრად მუკბანიანი, სერგო პაპასკუა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯაბული მუშკუდიანი.

მეუღლე ვერა, შვილი რეზო, რძალი ზაირა ჩაფრავა, შვილიშვილები მაკა, მარინე, თემური, და ანიჩკა, სიძე ბიქტორ სივსივა, დისშვილები, ბიძაშვილები დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თომა თედორეს ძე გვიშიანი.

დაკრძალვა 25 აგვისტოს, შაბათს, სოფ. ორბელში

ცაგერის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ პავლე ბაკურაძეს დედის

ეფროსინე გოქაძე-ბაკურაძის

გარდაცვალების გამო.

ავთანდილ, ზაზა თაგვაძეები თანაუგრძნობენ ჟორა, დმიტრი, ოთარ, გივი მუშკუდიანებს შვილისა და ძმისშვილის

ჯაბული მუშკუდიანის

გარდაცვალების გამო.

გივი, ალიოშა, ზაურ ჩაფრავები, ჯუჯულა გურგუჩიანი, ბიკენტი მურცხვალაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თომა თედორეს ძე გვიშიანი.

საშენი მასალების სამეურნეობათშორისო საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაგული საღინაძეს ძმის

ჯუმბერ ჯიმშელეიშვილის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

და პასიკო, დისშვილები თამარ, ნათელა, ჟუჟუნა, ნაზი, ბაბილო, ანზორ, დემურ, ომარ, რეზო ნემსწვერიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთო ახვლედიანი.

ავდიდო, ბადრი კვირკაშვილები, სოზარ ბურჯალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თომა თედორეს ძე გვიშიანი.

შერაგ, ანზორ ჯიაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯაბული მუშკუდიანი.

შალვა, ჯუმბერ, ნოდარ ცვარიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეფროსინე მათეს ასული ბაკურაძე.

რაიონული საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მზია ბრეგვაძეს ბებიის

პილასი მაჩიტიძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-48, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, ინდექსი 66529, შეკვეთა 07 ტირაჟი 4650

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.